ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 95-97-37

მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №181

12 თებერვალი 2016 წ.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ"- საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების მე-17 მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს მიერ 2016 წლის 12 თებრვლის წერილი №01/30862 წარმოდგენილი სიის გათვალისწინებით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში (სოფელი ჩხაკაურა) არსებულ საჯარო სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეს (გამგებლის წარმომადგენელი ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულში), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მაღალმთიან დასახლებაში - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი თანდართული excel-ის ფაილის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა N 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

ვიზირებულია

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი: *ბ. შენგელია*